არასამეწარმეო(არაკომერციული)
იურიდიული პირი
ლაგოდეხის სერვის ცენტრი

LAGODEKHI
N.N.J.P.
SERVICE CENTER

2700 ქ.ლაგოდეხი, ქიზიყის ქ №25;
ტელ:591202833
ელ.ფოსტა:Lagservice2018@gmail.com

ს/კ: 433105659

საბანკო კოდი - LBRTGE22

Lagodekhi, 2700,Qizikis st; ქ №25 Tel.:(+995) 591202833

email: Lagservice2018@gmail.com

Identification Kode: 433105659

BANK KODE – LBRTGE22

ა.ა.ი.პ. ლაგოდეხის სერვის ცენტრის მიერ შესრულებული სამუშაოს

2022 წლის ანგარიში

ა.ა.ი.პ. ლაგოდეხის სერვის ცენტრი თავი8ს საქმიანობას აწარმოებს ოთხი მიმართულებით :

1. დასუფთავება და ნარჩენების გატანა - 1,131,410
2. გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია- 232,300
3. სასმელი წყლის ექსპლოატაცია - 98,900
4. მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობა- 194,090

2022 წლის საერთო ბიუჯეტი შეადგენდა 1,656,700 (ერთი მილიონ ექვსასორმოცდათექვსმეტიათას შვიდასი) ლარს.

დასუფთავება და ნარჩენების გატანა

1. მუნიციპალიეტეტის ტერიტორიაზე ყოველდღიურად ხდება საყოფაცხოვრებო და მყარი ნარჩენების გატანა შემუშავებული გრაფიკის მიხედვით ქალაქი და 67 სოფლიდან ; ნარჩენების გატანა ხორციელდება როგორც კონტეინული , ასევე ზარის პრინციპით: კონტეინერული სისტემით : შემდეგი ტექნიკით: 3 ერთეული მერსედესის ტიპის ნაგავმზიდი (2-7მ^3, 1- 13მ^3) - რითაც ხდება კონტეინერების გაცლა; (ყოველდღიურად საშუალოდ ხორციელდება 400 კონტეინერის გაცლა).
   ზარის სისტემით: - შეგროვილი ნარჩენის ტომრებში შეგროვებით
2. ერთი ერთეული- ფოტონის ტიპის ნაგავშემკრები, ერთი ერთეული ფოტონის ტიპის თვითმცლელი, ერთი ერთეული jak,. 2022 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან გატანილი იქნა 24000 ტ. მუნიციპალური ნარჩენი.
3. ყოველდღიურად იგვება და სუფთავდება ქალაქის ქუჩები და სკვერები .ხორციელდება 7 სკვერისა და გამწვანებული ტერიტორიების მოვლა- პატრონობა -საერთო ფართობით 23 კმ/2

[illegible] გვერდეულების დასუფთავება; სანიაღვრე არხების ამოსუფთავება -გატანა.

5. მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე დაიდგა და კიდევ იდგმება ახალი ნაგვის ურნები, 2022 წლისთვის განლაგებულია 655 ურნა, საჭიროების მიხედვით ხდება დაზიანებული ურნების ჩანაცვლებები. 2022 წელს მერიიდან დამატებით გადმოეცა სერვის ცენტრს 90 ცალი (50-პლასტმასის, 40- მეტალის) ნაგავშემკრები კონტეინერი. (გარდა ამისა 2023 წლისთვის გადმოცემულია 350 ც 1,100 ნაგავშემკრები)
6. გაიჭრა და იჭრება სანიაღვრე არხები; ყოველდღიურ რეჟიმში და საჭიროების მიხედვით არსებული არხები იწმინდება ნაშალისაგან; მიმდებარე ტერიტორიები კი იწმინდება ეკალ ბარდისგან; დეფექტური აქტების მიხედვით კი ჩატარებულია 35 სამუშაო. ასევე ხდება შიდა საოფლო გზების მოსწორება, ჩატარებულია 12 სამუშაო - დეფექტური აქტების საფუძველზე, ლიკვიდირებულია 5 არალეგალური სტიქიური ნაგავსაყრელი - 3350 კვ.მ.

7. მუნიციპალიტეტში არსებულ ხევებში ტარდება ნაპირსამაგრი და გაწმენდითი სამუშაოები;- ბაისუბნის ხევში, შრომის ხევში , ლაგოდეხის ხევში, ნინოს ხევში, ჭვარტლის ხევში (გურგენიანი)

მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობა

8. ხდება სასაფლაოების მოვლა-პატრონობა- ითიბება ბალახი,აგრეთვე ხდება ბალახის შეწამვლა ბალახ საწინააღმდეგო ჰერბიციდებით, იწმინდება ეკალ-ბარდისგან და სუფთავდება საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან, ხდება დაზიანებული ხეების ჭრა ვარჯის ფორმირება;
9. გამწვანების სპეციალისტების მიერ თეთრდება (შეკირვა) ხეები, ითიბება და ირწყვება გაზონები, ქუჩების გვერდეულები, სკვერები, მემორიალის და სხვა ტერიტორიები. სკვერებსა და პარკებში ირგვება ცოცხალი მცენარეები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. ჭაბუკიანი გურჯაანის დამაკავშირებელ გზაზე და გიორგეთში დაირგო 1652 ძირი სანთლისებური კიპაროსი. (აღნიშნული ტერიტორიები წინასწარ გაიწმინდა ეკალ ბარდისგან და მოსწორდა გზის ორივე მხარე 7 კმ,) ხდება საჭიროებისამებრ დაზიანებული ხეების ჭრა ვარჯის ფორმირებები- ჩატარდა 45 სამუშაო.(დეფექტური აქტებით)

გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია-

10. ახალი ლედ ტიპის სანათებით იცვლება ძველი გარე განათების სისტემა. აგრეთვე ხდება დაზიანებული და გადამწვარი სანათების შეკეთება-შეცვლა. ახალი სანათი ამოიცვალა 50 ვატიანი -407 ცალი, შეკეთდა და ამოიცვალა 1439 დაზიანებული სანათი. გაიჭიმა ახალი 2806 მეტრი სიპი (კაბელი) .პროჟექტორი -200 ვატიანი დამონტაჟდა -6 ცალი. 2022 წელს ა.ა.ი.პ. სერვის ცენტრის მიერ შესყიდული იქნა 150 ცალი 100 ვატიანი ლედ ტიპის სანათი, რომლებითაც მოხდება ეტაპობრივად ჩანაცვლებები - წლის ბოლოსთვის ჩანაცვლებულია

- 55 ცალი. მიმდინარეობს ცენტრალურ სკვერებში და პარკში გირლიანდების (ვინტაჟური განათებების) მონტაჟი.

სასმელი წყლის ექსპლოატაცია

11. მუნიციპალიტეტის სოფლებში ხდება არსებული წყლის სისტემის მოვლა- პატრონობა, დაზიანებული მილების შეცვლა, მაგისტრალების შეკეთება- მოწყობა. წყლის სათავე ნაგებობებზე სისტემატიურად მიმდინარეობს როგორც გაწმენდითი, ასევე აღდგენითი სამუშაოები. ეტაპობრივად და საჭიროების მიხედვით მაგისტრალების დარეგულირება, შემოვლა შემოწმებები , დაზიანებული საუბნო ონკანების შეცვლა შეკეთებები, დაზიანებული ჩამკეტ გამშვები ურდულების შეკეთება, შეცვლა, ჭის სახურავების შეკეთება- ახლის მონტაჟი, სკვერებსა და პარკებში დაზიანებული ონკანების შეკეთება- შეცვლა, შადრევნების მოვლა, გარდა ამისა ჩატარდა დაზიანებული მაგისტრალის აღდგენის - 59 სამუშაო, ჭაბურღილებზე დაზიანებული ტუმბოების დემონტაჟი-შეკეთება-მონტაჟი - 10 სამუშაო.
12. შეძლებისდაგვარად ხდება დახმარება სტიქიის შედეგად დაზარალებულ ქალაქის და სოფლების მოსახლეობაზე;
13. მუნიციპალიტეტში ჩატარებულ ღონისძიებებში უწევს სხვა და სხვა სახის დახმარებას შესაბამის სამსახურებს. (კულტურული და სხვა ღონისძიებები)

ზ/ ჩამოთვლილ და სხვა დამხმარე სამუშაოების შესრულებას ა.ა.ი.პ. ლაგოდეხის სერვის ცენტრი" ახორციელებს ოთხი მიმართულებით განყოფილების მუშაობით:

1. სასმელი წყლის ექსპლოატაცია
2. გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია
3. დასუფთავება და ნარჩენების გატანა
4. მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობა

2022 წლის 12 თვის მონაცემებით შესრულებული სამუშაოების ანგარიშად მოგახსენებთ , რომ ჩამოთვლილი სამუშაოები მიმდინარეობს ყოველდღიურ რეჟიმში, გახარჯული თანხები მოცემულია ასევე განყოფილებების მიხედვით:

1. სასმელი წყლის ექსპლოატაცია - 82715,36 ლ
2. გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია - 218216,64 ლ
3. დასუფთავება და ნარჩენების გატანა - 1088962,30 ლ
4. მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობა - 140696,55 ლ

სულ --1530590,85 ლ

ა.ა.ი.პ. ლაგოდეხის სერვის ცენტრის დირექტორის დროებითი ფუნქცია- მოვალეობის შემსრულებელი

/ხათუნა ხელაშვილი/